ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5592259

ნომერი: AR1838056

თარიღი : 16.07.2021

გაცემის თარიღი : 10.09.2021

გაცნობის თარიღი : 11.09.2021

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კოსტავა , N 43 , (ნაკვ 10/073);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ მახარობლიშვილი პ/ნ 01008018073
- თბილისი ირ.აბაშიძის ქ. N 86 ბ. 8

ორგანიზაცია:

- შპს "ლენდმარკ პროჯექტი" კოდი: 405221843

ნომენკლატურა :

- სასტუმრო
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს „სანი“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406033983
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ივანე ბარბაქაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017021602

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 5503959
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 15.07.2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 16 ივლისის N AR1838056 განაცხადით მომართა შ.პ.ს. „სანი“-ს დირექტორის მინდობილმა პირმა ა. მახარობლიშვილმა (მინდობილობა, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის N210759343, 20.07.2021 წ.), რომელიც ითხოვდა ქ. თბილისში (სექტორი- მთაწმინდა), კოსტავას ქ. N43-ში (ნაკვ. 10/073), შ.პ.ს. „სანი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი N 01.15.03.010.073), სასტუმროს შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე მშენებლობის ნებართვის გაცემას.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული შენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად, 2021 წლის 28 ივლისის № 5524484 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მე–4 პუნქტით დამკვეთს დაევალა ამ ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 40 (ორმოცი) სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს: • ვერის ბაღის გამწვანებასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოსთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცის საქალაქო სამსახურთან დადებული ხელშეკრულებები, ან სხვა სახის ალტერნატიული დოკუმენტაცია;

აღნიშნულთან დაკავშირებით სამსახურს მომართა მოქ. ა. მახარობლიშვილმა და წარმოადგინა 2021 წლის 28 ივლისის № 5524484 ბრძანების მე–4 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია: შ.პ.ს. „გრინსერვის+“-თან, 2021 წლის 02 სექტემბრის მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება (მწვანე ნარგავების შესყიდვის შესახებ) და ხელშეკრულების საფუძველზე მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი (საგადასახადო დავალება #1630661535, 03/09/2021);. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ არქიტექტურის სამსახურის მოთხოვნა შესრულებულია და წარმოდგენილი დოკუმენტები უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტაციას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს შპს "სანი"–ის დირექტორს ი. ბარბაქაძეს სამსახურის 2021 წლის 28 ივლისის № 5524484 ბრძანების მე–4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა და წარმოდგენილი დოკუმენტები დაერთოს შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციას;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2021 წლის 28 ივლისის № 5524484 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი

თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.